ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №659453

ნომერი: AR1117629

თარიღი : 19.03.2013

გაცემის თარიღი : 24.04.2013

გაცნობის თარიღი : 26.04.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა აკური , N 30 / ქალაქი თბილისი , ქუჩა აკური , N 30 , (ნაკვ.34/10) / ქალაქი თბილისი , ქუჩა ალექსიძე , N 1 , (ნაკვ.34/32) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნანა კაპანაძე პ/ნ 01008037746
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 61 კორ. 19 ბ. 54

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის არქიტექტურურის სამსახურის 2002 წლის 21 ოქტომბრის #1442 სამშენებლო პასპორტში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2013 წლის 19 მარტს #AR1117629 განცხადებით მომართა მოქ. ნანა კაპანაძემ და მოითხოვა ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2002 წლის 21 ოქტომბრის #1442 სამშენებლო პასპორტში ცვლილების შეტანა საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობის შეცვლასთან დაკავშირებით.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ არქიტექტურის სამსახურის 21.10.2002

წ. #1442 სამშენებლო პასპორტი გაცემული იქნა ქ. თბილისში, ვაკე–საბურთალოს რაიონში, ალექსიძის ქ. #1–ში, მენაშენე ამხანაგობა „ალიანსი 2001“–ს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის დამუშავების მიზნით.აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტი გაცემულ იქნა ორ მიწის ნაკვეთზე – 447 კვ.მ. საკადასტრო კოდით: 1.10.13.34.10. და 250 კვ.მ. საკადასტრო კოდით: 1.10.13.34.9. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერითა და საკადასტრო გეგმით (ამონაწერის რეგისტრაციის #882013164288; მომზადების თარიღი: 16.04.2013წ; საკადასტრო გეგმის რეგისტრაციის #882013161342; მომზადების თარიღი: 15.04.13წ.წ. საკადასტრო კოდი: 01.10.13.034.055) ირკვევა, რომ მიწის ნაკვეთები გაერთიანდა და საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობი დღეის მდგომარეობით შედგენს 3781 კვ.მ.-ს საკადასტრო კოდით 01.10.13.034/055. საქმის მასალებში ასევე წარმოდგენილი იქნა ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ალიანსი 2001“–ის სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობა სამშენებლო პასპორტში განსახორციელებელ ცვლილებაზე.

“მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 99-ე მუხლის თანახმად, იმ ობიექტებზე, რომელთა მიმართაც ამ დადგენილების ძალაში შესვლამდე დაწყებულია მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურა ან გაცემულია მშენებლობის ნებართვა, მაგრამ შენობა-ნაგებობა არ არის ვარგისად აღიარებული, ვრცელდება განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედი კანონმდებლობა. იმ დროისათვის მოქმედი “არქიტექტურული საქმიანობის შესახებ” 1998 წლის 14 აპრილის საქართველოს კანონის თანახმად არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალება არის საქართველოს კანონმდებლობით, ნორმატიული და სახელმძღვანელო დოკუმენტების კომპლექსითა და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოს მიერ განსაზღვრული მოთხოვნების ერთობლიობა, რომელიც ადგენს არქიტექტურული ობიექტის დანიშნულებას, მის პარამეტრებს, ტერიტორიულ ფარგლებს, მიწის ნაკვეთზე განთავსებას, აგრეთვე მისი დაპროექტებისა და მშენებლობის ეკოლოგიურ, ტექნიკურ, ორგანიზაციულ და სხვა პირობებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და ვინაიდან საპროექტო მიწის ნაკვეთზე დაწყებულია სამშენებლო სამუშაოები მაგრამ ობიექტი არ არის ექსპლუატაციაში მიღებული და, ამასთან საპროექტო მიწის ნაკვეთის გაერთიანება განხორციელდა მისაღები კონფიგურაციით, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქთმმშენებლობით პირობებში შეიტანოს ცვლილება მიწის ნაკვეთის ფართობის გაზრდასა და ახალი საკადასტრო გეგმების დამატებასთან დაკავშირებით.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2002 წლის 21 ოქტომბრის #1442 სამშენებლო პასპორტში, კერძოდ: საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობად დაფიქსირდეს 3781 კვ.მ. და საკადასტრო კოდად მიეთითოს : 01.10.13.034/055;
2. ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2002 წლის 21 ოქტომბრის #1442 სამშენებლო პასპორტს დაემატოს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერი და საკადასტრო გეგმა (ამონაწერის რეგისტრაციის #882013164288; მომზადების თარიღი: 16.04.2013წ; საკადასტრო გეგმის რეგისტრაციის #882013161342; მომზადების თარიღი: 15.04.13წ. საკადასტრო კოდი: 01.10.13.034.055);
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2002 წლის 21 ოქტომბრის #1442 სამშენებლო პასპორტთან ერთად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.